



საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის  
სამინისტრო  
**MINISTRY OF ENVIRONMENT AND NATURAL RESOURCES PROTECTION OF  
GEORGIA**



KA060169850445516

საქართველო, 0114 თბილისი, გ.გულუას ქ. N6; ტელ:2727200, 2727220, ფაქსი:2727237; www.moe.gov.ge  
6 G. Gulua Str. 0114, Tbilisi, Georgia, Tel:(+995 32) 2727200, 2727220, Fax:2727237; www.moe.gov.ge

# 6167

03 / აგვისტო / 2016 წ.

„მწვანე ალტერნატივა“-ს აღმასრულებელ  
დირექტორს ქალბატონ ნინო გუჯარაიძეს

ქალბატონო ნინო,

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მიმდინარე წლის 21 ივლისს შემოსული #16085 წერილის პასუხად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით სამინისტროში შემოსული სატელეფონო საჩივრის თაობაზე გაცნობებთ რომ, 2015 წლის 5 ოქტომბერს „ცხელ ხაზზე - 153“ (დრო - 17:05 სთ) შემოვიდა სატელეფონო შეტყობინება მოქალაქისგან, რომელმაც ვინაობა არ დაასახელა. ერთ-ერთი კომპანია, მისი ინფორმაციით, უნებართვოდ გეგმავდა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების გაყვანას. მანვე განაცხადა, რომ დაგეგმილი მშენებლობის თაობაზე არც ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება მომხდარა. მოსახლეობა მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობის დაწყებას აპროტესტებდა და იქმნებოდა კონფლიქტი მათსა და კომპანიას შორის. ზარის ავტორი ითხოვდა რეაგირებას, რათა არ დაწყებულიყო სამუშაოები.

ოპერატორის მიერ მოქალაქეს განემარტა, რომ მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მშენებლობას ესაჭიროება შესაბამისი ნებართვა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან. ვინაიდან მშენებლობა დაწყებული არ იყო, მოქალაქეს უნდა მიემართა სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტისთვის ნომერზე-272 72 60, სადაც მიაწოდებდნენ ინფორმაციას, იგეგმებოდა თუ არა მსგავსი მშენებლობა სოფ. ცდოში და გაცემული იყო თუ არა ნებართვა მშენებლობაზე.

მოქალაქეს ასევე განემარტა, რომ უკანონო/უნებართვო მშენებლობის განხორციელების შემთხვევაში, გატარდებოდა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი რეაგირება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განვმარტავთ, რომ აღნიშნული შეტყობინება დეპარტამენტში ფიქსირდება როგორც ინფორმაციული ხასიათის შეტყობინება. აქვე გაცნობებთ, რომ „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის კომპტენციას მიკუთვნებულ შეტყობინებას და საჭიროებს რეაგირებას, ოპერატორის მიერ დაუყოვნებლივ გადაეცემა დეპარტამენტის შესაბამისი სამსახურის/სამმართველოს უფლებამოსილ მოსამსახურეს ან კომპეტენციის ვარგლებში სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამასთან, ინფორმაცია „ცხელ ხაზზე“ შემოსული ზარის შესახებ, რომელიც საჭიროებს დეპარტამენტის მიერ რეაგირების გატარებას, ოპერატორის მიერ ფიქსირდება და ფორმდება შეტყობინების სახით, რომელსაც ენიჭება რიგითი ნომერი და შეტყობინების მიმღები ოპერატორის ან ცხელი ხაზის ჯგუფის კოორდინატორის ხელმოწერით, დადგენილი წესით წარედგინება დეპარტამენტის უფროსს.

იმის გათვალისწინებით, რომ 2015 წლის 5 ოქტომბერს შემოსული სატელეფონო შეტყობინება არ შეიცავდა ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც დეპარტამენტი მისი კომპეტენციის ფარგლებში გაატარებდა რეაგირებას, „ცხელ ხაზზე“ შემოსული ინფორმაცია ელექტრონულ ჟურნალში გატარდა როგორც ინფორმაციული ხასიათის შეტყობინება და არ მიენიჭა შესაბამისი რიგითი ნომერი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ რეაგირების შესაბამისი დოკუმენტის ასლი.

პატივისცემით,

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის  
უფროსი (საჯარო ინფორმაციის გაცემაზე  
პასუხისმგებელი პირი)



ეკატერინე ბენდელიანი